სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

დეკემბერი 2018

2018 წლის დეკემბერში, 2018 წლის ნოემბერთან შედარებით, თბილისში სასტუმროს ფასები 11.9%-ით გაიზარდა, საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ზრდის ტემპი (21%) მნიშვნელოვნად აღემატება 3*, 4* და 5* სასტუმროს ფასების ზრდის ტემპს (9.3%). აღნიშნული დინამიკა განსხვავდება გასული წლის ანალოგიური პერიოდის დინამიკისგან, როდესაც თბილისში სასტუმროს ფასები 12.5%-ით იყო გაზრდილი, 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასების ზრდა 15.1%-ს, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ზრდა მხოლოდ 3.6%-ს შეადგენდა.

2018 წლის დეკემბერში, 2017 წლის დეკემბერთან შედარებით, საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი 1%-ით გაიზარდა. რეგიონების მიხედვით, სასტუმროს ფასები ყველაზე მეტად აჭარაში (21.1%) და სამცხე-ჯავახეთში (14.8%) გაიზარდა. ხოლო თბილისში სასტუმროს ფასები 9.8%-ით არის შემცირებული. აღნიშნული შემცირება ძირითადად გამოწვეულია 3*, 4 და 5* სასტუმროების ფასების კლებით. მაშინ როდესაც თბილისში 3*, 4* და 5* სასტუმროს ფასები 14.7%-ით არის შემცირებული, საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 9%-ით არის გაზრდილი.

აღსანიშნავია, რომ თბილისში ბოლო ერთი წლის განმავლობაში booking.com-ზე დარეგისტრირებული 3*, 4* და 5* სასტუმროების რაოდენობა 46%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც საოჯახო ტიპის სასტუმროების რაოდენობა 19.1%-ით არის გაზრდილი.

სასტუმროების საშუალო ფასები

2018 წლის დეკემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **133 ლარი** შეადგინა. 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასი რეგიონებს შორის სამცხე-ჯავახეთში - 208 ლარი დაფიქსირდა.

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა დეკემბერში **240 ლარი** შეადგინა. 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასი სამცხე-ჯავახეთში - 278 ლარი დაფიქსირდა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა დეკემბერში **502 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 630 ლარი შეადგინა, აჭარაში - 483 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 417 ლარი, ხოლო კახეთში - 300 ლარი.

საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა დეკემბერში **73 ლარი** შეადგინა. ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში 3* და 4* სასტუმროების მსგავსად სამცხე-ჯავახეთში - 89 ლარი დაფიქსირდა.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2018 წლის დეკემბერში, 2018 წლის ნოემბრის თვესთან შედარებით, 11.9%-ით გაიზარდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად მცხეთა-მთიანეთში (24%) და სამცხე-ჯავახეთში გაიზარდა (27.3%).

საქართველოს ათ რეგიონს და თბილისს შორის, 2018 წლის დეკემბერში, ნოემბრის თვესთან შედარებით, სასტუმროს ფასები არც ერთ რეგიონში არ შემცირებულა.

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის დეკემბერში, 2018 წლის ნოემბრის თვესთან შედარებით, 8.6%-ით გაიზარდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთში გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში, 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასები მხოლოდ აჭარაში შემცირდა.

საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2018 წლის დეკემბერში, 2018 წლის ნოემბრის თვესთან შედარებით, 18.7%-ით გაიზარდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად სამცხე-ჯავახეთში და თბილისში გაიზარდა. საოჯახო ტიპის სასტუმროებში, დეკემბერში, ნოემბერთან შედარებით, ფასები მხოლოდ ქვემო ქართლში შემცირდა.

2018 წლის დეკემბერში, 2018 წლის ნოემბერთან შედარებით, საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ზრდის ტემპმა გადააჭარბა 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასების ზრდის ტემპს. აღსანიშნავია, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდში, 2017 წლის დეკემბერში, 2017 წლის ნოემბრის თვესთან შედარებით, სასტუმროს ფასების ინდექსი 9.3%-ით იყო გაზრდილი, 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასების ზრდა 12.2%-ს, საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ზრდა კი 3.3%-ს შეადგენდა.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2018 წლის დეკემბერში, 2017 წლის დეკემბერთან შედარებით, 1%-ით გაიზარდა. მოცემულ პერიოდში, სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად აჭარაში (21.1%) და სამცხე-ჯავახეთში (14.8%) გაიზარდა.

2018 წლის დეკემბერში, 2017 წლის დეკემბერთან შედარებით სასტუმროების ფასები ხუთ რეგიონში შემცირდა. თბილისში სასტუმროების ფასების კლებამ 9.8% შეადგინა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2018 დეკ/ 2018 ნოემ	2018 დეკ/ 2017 დეკ	2018 დეკ/ 2018 ნოემ	2018 დეკ/ 2017 დეკ	2018 დეკ/ 2018 ნოემ	2018 დეკ/ 2017 დეკ
სამცხე-ჯავახეთი	27.3%	14.8%	23.4%	8.3%	30.2%	19.2%
მცხეთა-მთიანეთი	24.0%	6.8%	48.8%	-4.9%	7.1%	19.1%
კახეთი	14.9%	-3.4%	1.9%	-2.2%	19.5%	-3.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	12.2%	3.3%	8.1%	9.6%	13.8%	-0.2%
თბილისი	11.9%	-9.8%	9.3%	-14.7%	21.0%	9.0%
იმერეთი	11.1%	0.5%	6.0%	-2.9%	15.2%	3.2%
რაჭა	5.7%	-10.9%			5.7%	-10.9%
გურია	5.6%	1.3%	3.1%	-13.1%	6.6%	13.4%
აჭარა	5.1%	21.1%	-2.1%	32.8%	15.1%	5.1%
ქვემო ქართლი	3.6%	-6.9%	7.2%	-4.5%	-1.1%	-11.5%
შიდა ქართლი	1.0%	-16.5%			1.0%	-16.5%
სულ ფასების % ცვლილება	11.9%	1.0%	8.6%	0.1%	18.7%	8.1%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2018 წლის დეკემბერში 2018 წლის ნოემბრის ფასებთან შედარებით და 2017 წლის დეკემბრის ფასებთან შედარებით,

საქართველოში 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის დეკემბერში, 2017 წლის დეკემბერთან შედარებით, 0.1%-ით გაიზარდა. ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად აჭარაში და სამეგრელო-ზემო სვანეთში გაიზარდა. თბილისში, 2018 წლის დეკემბერში, 2017 წლის დეკემბერთან შედარებით, 3, 4 და 5* სასტუმროების ფასები 14.7%-ით შემცირდა.

საქართველოში საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2018 წლის დეკემბერში, 2017 წლის დეკემბერთან შედარებით, 8.1%-ით გაიზარდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად სამცხე-ჯავახეთში და მცხეთა-მთიანეთში გაიზარდა. მოცემულ პერიოდში, თბილისში, საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ზრდამ 9% შეადგინა.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	I 2017	II 2017	III 2017	IV 2017	2017	I 2018	II 2018	III 2018	IV 2018
1	1978.3	450	544.3	642.6	569.8	2206.7	522.9	642.5	781.9	
2	6720	1378.1	1757	2969.9	1797.5	7902.5	1582.4	1979.6	3226.4	1891.1
3	3297.3	665	908.9	1629.9	865.7	4069.4	839.5	1094.2	1838.3	984.7
4	2166.3	425.7	629.9	1078.3	570.5	2704.3	550.7*	810*	1210.6*	
5	386.3	81.4	109.5	152	120.7	463.6	105.9*	126.4*	149.9*	
6	56.1	7.1	25.1	29.7	10.3	72.2	25.5*	-6.5*	36*	

1 ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი კაცი)

3 ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)

4 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)

5 საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების ძერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3.სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო საალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009).

4 * წინასწარი მონაცემები